საქართველოში წარმოებული მანდარინის საექსპორტო ბაზრებზე პოზიციონირება: კონკურენტული გარემო, გამოწვევები და შესაძლებლობები

მსოფლიოში მანდარინის მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, 2024 წელს გლობალურმა წარმოებამ 52 მილიონ ტონას მიაღწია. წამყვან მწარმოებლად ჩინეთი რჩება, რომლის წილი მსოფლიო წარმოებაში 12%-ს შეადგენს, ხოლო მნიშვნელოვან მოთამაშეებად გვევლინებიან თურქეთი, მაროკო, პაკისტანი და ეგვიპტე.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) პროგნოზით, 2026 წელს გლობალური წარმოება ზრდის ტენდენციას შეინარჩუნებს, სადაც ჩვენს მეზობელ ქვეყანას, კერძოდ თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მასშტაბებით აზიური ქვეყნები ლიდერობენ, ხარისხზე და საექსპორტო სტანდარტებზე ორიენტირებული მიწოდების პრაქტიკა ძირითადად კონცენტრირებულია ხმელთაშუაზღვის რეგიონსა და სამხრეთ აფრიკაში. აღნიშნული ქვეყნები კონკურენტუნარიანობას აღწევენ არა მხოლოდ მოცულობით, არამედ ხარისხის მკაცრი კონტროლით, სტანდარტიზაციით, ჯიშების გაუმჯობესებით, ექსპორტზე მორგებული ინფრასტრუქტურით და მიწოდების სტაბილურობით.

ჩინეთში წარმოება ძირითადად მცირე ფერმერებზეა დაფუძნებული, თუმცა მასშტაბი მიღწეულია მწარმოებელთა რაოდენობითა და ძლიერი შიდა ბაზრით. ესპანეთი და მაროკო კონკურენტულ პოზიციას ინარჩუნებენ ხარისხის სტანდარტებისა და ორგანიზებული საექსპორტო სისტემის მეშვეობით. ამასთანავე, კლიმატური არასტაბილურობა, მავნებლებისა და დაავადებების გავრცელება, ასევე ფიტოსანიტარული მოთხოვნების გამკაცრება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების მოცულობასა და სტაბილურობაზე, რაც 2025 წელს ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში მანდარინის ბაღების სტრუქტურა ხასიათდება მცირე ზომის, ფრაგმენტირებული მეურნეობებით და წარმოების მაღალი კონცენტრაციით სუბტროპიკულ ზონაში. პლანტაციები ძირითადად წარმოდგენილია საოჯახო ან მცირე კომერციული ბაღების სახით და განაწილებულია სხვადასხვა ლოკაციაზე. მასშტაბური, ინტენსიური ტიპის ახალი ბაღები პრაქტიკულად არ ფიქსირდება, რის გამოც წარმოების საერთო მოცულობა ფორმირდება მრავალი მცირე ნაკვეთის ერთობლიობით. აღნიშნული მოდელი ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის მიღწევის შესაძლებლობას, ართულებს ერთგვაროვანი ხარისხის, დიდი პარტიების ფორმირებას და ზრდის ლოჯისტიკური ორგანიზების სირთულეს. შედეგად, სექტორში წარმოება დამოკიდებულია ინდივიდუალური ფერმერების რესურსებზე და ნაკლებად არის ინტეგრირებული ერთიან კომერციულ სისტემაში. პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება ასაკობრივი განსხვავებულობით და ჯიშობრივი არაერთგვაროვნებით. ამას ემატება კლიმატური რისკებისადმი მაღალი მგრძნობელობა და მოსავლის აღების შემდგომი მართვის განსხვავებული დონე, რაც საბოლოოდ იწვევს პროდუქციის ხარისხობრივი დიფერენციაციის ზრდას და ამცირებს ბაზარზე ერთიანი ბრენდის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

საქართველოში ძირითადად საგვიანო ჯიშის მანდარინია გავრცელებული, რაც ისტორიულად, მეზობელ ქვეყნებში ახალი წლის პერიოდში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან იყო დაკავშირებული. მოთხოვნა დღესაც არსებობს, მაგრამ აღსანიშნავია რომ ახალი თაობის მიდგომები ბაზრის მიმართ ცვალებადია და საქართველოში წარმოებულ მანდარინზე მოთხოვნა ტექნოლოგიების და გემური მახასიათებლების განვითარებასთან ერთად შესაძლებელია შეიცვალოს.

სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამებიდან აღსანიშნავია - „დანერგე მომავალი", რომელიც ითვალისწინებს ბაღების თანადაფინანსებას (ნერგების, წვეთოვანი სისტემის მიმართულებით), თუმცა აღნიშნულ მიმართულებაზე მანდარინის ბაღის გაშენებაზე მოთხოვნა ფერმერების მხრიდან არ არის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამების ფარგლებში გაშენდა მანდარინის ახალი ბაღები, და ყოველწლიურად მიმდინარეობს არასტანდარტული მანდარინის სუბსიდირების პროგრამა.

საქართველოში წარმოებული ციტრუსების 90-94%-ს მანდარინი შეადგენს. ციტრუსების 89% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიის რეგიონში იწარმოება. წარმოების პროცესში ჩართულია დაახლოებით 32.7 ათასი მეურნეობა, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში, აწარმოებს 49.1-71.0 ათას ტონა მანდარინს. წარმოება წლების მიხედვით რყევით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებთან. რაც შეეხება მანდარინის საშუალო საცალო საბაზრო ფასს, ბოლო ათი წლის განმავლობაში, დაახლოებით 70%-ით გაიზრდა და 2024 წელს, 1 კგ-ის ფასმა 3.59 ლარს მიაღწია.



წყარო: საქსტატი

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი

2025 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 27 ათასი ტონა, 16.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მანდარინი. 2025 წლის მონაცემებით, 1 კგ მანდარინის საშუალო საექსპორტო ფასი გაზრდილია და 0.59 აშშ დოლარია, რაც ნიშნავს რომ დაახლოებით 32 ათასზე მეტმა მეურნემ მიიღო შემოსავალი, სამრეწველო მანდარინის შემთხვევაში კილოგრამის ფასი 0.35 ლარი, ხოლო ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ფერმის კართან საშუალო ფასი 1.0 ლარს შეადგენდა.
2025 წლის მონაცემებით, საქართველოდან მანდარინის ექსპორტი ხორციელდება 45 კომპანიის მიერ. ქართული მანდარინი ექსპორტირებულია ძირითადად რუსეთსა (75%) და სომხეთში (22%), ასევე, მცირე რაოდენობით მანდარინი გატანილია ბელარუსში, უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და გერმანიაში, რაც საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პოტენციალზე მიუთითებს.



წყარო: საქსტატი

საქართველოდან მანდარინის შეუფერხებელ ექსპორტს ხელს უწყობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, რომლის ფარგლებში ხორციელდება ექსპორტთან დაკავშირებული ყველა პროცედურის შესრულება ერთ სივრცეში.

მანდარინის წარმოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოსთვის რეალისტური და მდგრადი მოდელი ვერ დაეფუძნება წარმოების დიდ მასშტაბებს ან ფასისმიერ კონკურენციას საგარეო ბაზრებზე, გლობალურ მიმწოდებლებთან შედარებით. საერთაშორისო ბაზარზე მოცულობითი უპირატესობა აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ჩინეთი, თურქეთი და მაროკო, რომლებიც ოპერირებენ მასშტაბზე დაფუძნებული მოდელით. ამასთან, ქვეყნის შიგნით გვაქვს მცირე და ფრაგმენტირებული მეურნეობებით (საშუალოდ ~0.18–0.20 ჰა), შედარებით დაბალი საჰექტარო მოსავლიანობით (~9–10 ტ/ჰა) და არასტანდარტული ნაყოფის მაღალი წილით (~20%), რაც ამცირებს საექსპორტო პროდუქციის მოცულობას. შესაბამისად, საქართველოს კონკურენტული პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს განსხვავებული, ხარისხზე ორიენტირებული და ნიშურ სეგმენტზე დაფუძნებული სტრატეგიით.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი

რეალისტური განვითარების მოდელი ეფუძნება სამ ძირითად მიმართულებას

პირველი - არსებული პლანტაციების ეტაპობრივი განახლება და ჯიშობრივი გაუმჯობესება. პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაბერებულია, რაც მოსავლიანობასა და პროდუქციის ერთგვაროვნებას ზღუდავს. პროდუქტიულობისა და კომერციული ხარისხის გაუმჯობესების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს - ჯიშობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, განსაკუთრებით საადრეო და ბაზარზე მოთხოვნადი ჯიშების გავრცელება, აგრო-ტექნოლოგიური ციკლის სრული დაცვა.

მეორე - მოსავლის აღების შემდგომი ინფრასტრუქტურის განვითარება. მოსავლის აღების შემდგომი პროცესები (დახარისხება, შენახვა, შეფუთვა) და ღირებულებათა ჯაჭვის ორგანიზება კვლავ რჩება სექტორის სუსტ რგოლად. დამატებული ღირებულების არათანაბარი განაწილება და ვერტიკალური კავშირების სისუსტე ამცირებს სექტორის საერთო კონკურენტუნარიანობას. შესაბამისად, ხარისხის სტანდარტიზაცია და ჯაჭვის უკეთ ორგანიზება წარმოადგენს განვითარების ლოგიკურ მიმართულებას.

მესამე - ექსპორტის ეტაპობრივი დივერსიფიკაცია და ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტაცია. საექსპორტო ნაკადების მაღალი კონცენტრაცია შეზღუდულ ბაზრებზე ზრდის რისკებს, ხოლო ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ჯიშობრივი და ხარისხობრივი სპეციფიკის გამო შეზღუდულია. შესაბამისად, ბაზრების გაფართოება უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტებთან შესაბამისობას, პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტაციას.

საქართველოს პირობებში მანდარინის ადრეულ სეზონზე წარმოების შესაძლებლობა იძლევა საშუალებას, პროდუქცია ბაზარზე გამოვიდეს იმ პერიოდში, როდესაც ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში მასობრივი მიწოდება ჯერ არ არის დაწყებული. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს კონკურენტულ უპირატესობას და ზრდის ფასისა და პოზიციონირების შესაძლებლობას ახალ ბაზრებზე.

საექსპორტო დივერსიფიკაციის კონტექსტში ყურადღება შეიძლება მიექცეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბალტიის რეგიონს, სადაც ქართული პროდუქცია გარკვეულ დონეზე ცნობადია და ლოჯისტიკური მანძილიც შედარებით კონკურენტულია. პოლონეთი, როგორც მასშტაბური ბაზარი, წარმოადგენს მოცულობითი ზრდის პოტენციალს. დამატებით მიმართულებად შეიძლება განიხილებოდეს უკრაინის ბაზარი და შუა აზიის ქვეყნები, სადაც იმპორტზე დამოკიდებულება მაღალია და სეზონურ პერიოდში მიწოდების დეფიციტი ხშირად წარმოიშობა. ამასთან, ტრადიციული მეზობელი ბაზრების გარკვეულ დონეზე შენარჩუნება მნიშვნელოვან ელემენტად რჩება.

მნიშვნელოვან პერსპექტივად შეიძლება ჩაითვალოს მანდარინის გადამუშავების მიმართულების განვითარება. არსებული შეფასებების თანახმად, 2023 წელს გადამუშავებული მანდარინის გლობალური ბაზარი 1.08 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა და 2030 წლამდე სტაბილური, საშუალოდ 4.5%-იანი წლიური ზრდაა მოსალოდნელი. (Maximize Market Research, Tangerine Preserves Market: Global Industry Analysis and Forecast 2024–2030, 2024).

აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს გადამუშავებული ციტრუსის პროდუქტებზე სტაბილურ მოთხოვნაზე და ქმნის დანაკარგების შემცირების და დამატებული ღირებულების ზრდის შესაძლებლობებს.